

რჩევები “ალბიონის“ პირველი კლასის მოსწავლეთა მშობლებს

ბავშვის ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია სასკოლო ცხოვრების დაწყება. რომლის წარმატებულობას აუცილებლად განსაზღვრავს ბავშვის სასკოლო მზაობა. სკოლისათვის მზაობაში კი მოიაზრება:

1. ფიზიკური მზაობა(ბავშვი ფიზიკურად უნდა იყოს მომწიფებული);
2. გონებრივი მზაობა(გონებრივი განვითარება უნდა შეესაბამებოდეს სასკოლო ასაკის გარკვეულ დონეს);
3. პიროვნული მზაობა(ემოციური დამოკიდებულებები და სოციალური უნარები, რაც გულისხმობს ურთიერთობებს თანატოლებთან და უფროსებთან).

როგორ დავეხმაროთ ბავშვებს, რომ მათ შეძლონ სკოლის მოსწავლის როლის უმტკივნეულოდ მორგება და ახალ გარემოსთან ადაპტირება, შეგუება?

ენობრივი უნარების გასაავითარებლად ხშირად უნდა ვესაუბროთ მათ, ვუამბოთ ჩვენი ამბები და წავახალისოთ მათი საუბარები. სისტემატიურად ვუკითხოთ ხმამაღლა მათთვის ასაკოვბრივად შესაბამისი ამბები, ზღაპრები, ერთად ვიმღეროთ, მის ნივთებზე წავაწეროთ მისი სახელი. ასევე შეიძლება გავაკრათ ოჯახის წევრების, საყვარელი პერსონაჟების, ნივთების სახელები პლაკატების, ან ბარათების სახით. ამ ეტაპზე მხოლოდ ისიც საკმარისია, რომ ბავშვებმა იცოდნენ რა სიტყვა წერია ბარათზე.

მათემატიკური უნარების განვითარებისთვის კარგია, ერთად დავითვალოთ, მაგალითად, ფანქრები, ჩხირები, თითები, ნახატის ცალკეული ელემენტები, სიარულის დროს ნაბიჯები, კიბის საფეხურები; გამოვიყენოთ და დავასახელოთ სხვადასხვა ფორმები(სამკუთხედი, ოთხკუთხედი...); მაგალითად, გამოვაცხოთ სხვადასხვა ფორმის პატარ-პატარა ნამცხვრები, გამოვძერწოთ თიხისგან, გამოვჭრათ ქალაქისგან და სხვა.

დაკვირვების უნარის განვითარების ერთ-ერთი ხელის შეწყობი ფორმაა, სეირნობის დროს მცენარეებზე, შენობებზე ერთად დაკვირვება და საუბარი მათი ფერის, ფორმის, სიმაღლის და ა. შ. შესახებ.

სოციალური უნარები, ურთიერთობები მნიშვნელოვანი ფაქტორია სკოლასთან ადაპტირებისთვის. ბავშვს რომელსაც შეუძლია მასწავლებლებთან და თანატოლებთან კარგი ურთიერთობა, უფრო გახსნილია სასწავლო პროცესისთვის. ამისთვის კი აუცილებელია ვიზრუნოთ ბავშვებში სწორი, ადექვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე, დავეხმაროთ აღმოაჩინოს საკუთარი პიროვნების ძლიერი მხარეები, რაც მათი თავდაჯერებულობის(ზომიერების ფარგლებში) უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ყურადღების კონცენტრაციის და ნებისყოფის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ბავშვების ფოკუსირება, „საქმიანობა“ მინიმალური ხანგრძლიობის დროის თანდისთან ეტაპობრივი

გაზრდით. ამ დროს უნდა გავითვალისწინოთ მათი პიროვნული შესაძლებლობები და მოტივაცია მიმდინარე საქმიანობით.

ასევე რაც უფრო კარგად აქვს განვითარებული ბავშვს წვრილი მოტორიკა, რომელიც გულისხმობს, საწერი კალმის, ფანქრის, მაკრატლის გამოყენებას, ქაღალდის დაკეცვის, დანებების, ძერწვის, წიგნის გადაშლის, მოზაიკის აწყობის და სხვა უნარებს, მით უკეთ არის იგი სკოლისთვის მომზადებული.

სკოლაში წასვლის წინ ბავშვებს რომ მოუხსნათ დაძაბულობა, საუკეთესო საშუალებაა ოჯახში ვისაუბროთ იმ სიკეთეებზე, რაც სკოლაში, ანუ მის მეორე ოჯახში სიარულს მოჰყვება. კარგი განწყობის შექმნაში დაგეხმარებათ სასკოლო ნივთების ერთობლივად ყიდვა, როდესაც ბავშვები თავად არიან ჩართულები სკოლისთვის მზაობის პროცესში.

და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, შეუქმნათ თბილი, მოსიყვარულე, ყურადღებიანი, უპირობო მხარდამჭერი ოჯახური გარემო.

მასალა მოამზადა სკოლის ფსიქოლოგმა, ლელა ჯავაშვილმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯანა კახიანი_“სიძნელები ბავშვის აღზრდისას“
2. ნანა ჩაჩუა, ანდრო ბუაჩიძე_“მშობლებისთვის და არა მხოლოდ“

15.09.2023.